საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდარვა თებერვალს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10 მომმართა **შპს „სინქროტელი“-ს (ს/კ 205159362)** დირექტორმა **ნიკოლოზ მუხაშვილმა** (დაბ: 06.04.1979 წელს, პირადი # 01024015711, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის II კვარტალი, კორპუსი 6, ბინა 45) რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ზემოთ აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, შევამოწმე მისი უფლებამოსილება **შპს „სინქროტელი“-ს (ს/კ 205159362)** ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის მომზადების თარიღია 26.02.2025 წ. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მხარეს, განვუმარტე მისი შინაარსი და მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადად წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა ის და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

მე - **შპს „სინქროტელი“-ს (ს/კ 205159362)** დირექტორი **ნიკოლოზ მუხაშვილი** (დაბ: 06.04.1979 წელს, პირადი # 01024015711, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის II კვარტალი, კორპუსი 6, ბინა 45) ამ მინდობილობით ვენდობი შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტ ჯორჯია“-ს ს/ნ 404923749 რათა **შპს „სინქროტელი“-ს (ს/კ 205159362)** საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა № 6, საოფისე ფართი № 9 (მშენებარე), სართული 1, ფართი: 111.70 კვ.მ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.10.06.001.115.01.02.009 დაკავშირებით იყოს წარმომადგენელი კომუნალური მომსახურების ობიექტებში, ნებისმიერ იურიდიულ პირთან, მათ შორის და არამარტო სს „თელასში“, შპს „თბილსერვის ჯგუფში“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, შპს „თელმიკო“-სთან, „თბილისი ენერჯის“-სთან ან/და სხვა სერვისის მომწოდებელ იმ კომპანიაში, რომელიც უშუალოდ ეხება **შპს „სინქროტელი“-ს (ს/კ 205159362)** საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა № 6, საოფისე ფართი № 9 (მშენებარე), სართული 1, ფართი: 111.70 კვ.მ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.10.06.001.115.01.02.009 ბუნებრივი აირის, ელექტრო ენერგიის, წყლის მიწოდებას, ასევე ტელეფონის ან/და ინტერნეტის მომსახურებას. აწარმოოს საქმე, რომ აბონენტად დარეგისტრირდეს მინდობილი პირი (შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“), ასევე აწარმოოს საქმე მომსახურების მიღებასთან/გაუქმებასთან/ შეწყვეტასთან/ შეჩერებასთან/ გაყოფასთან და ა.შ. დაკავშირებით. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია წარმოადგინოს მიმნდობი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში. მიმნდობის სახელით შეიტანოს განცხადებები, მოიპოვოს (გამოითხოვოს) ნებისმიერი სახის და შინაარსის დოკუმენტები, აიღოს ნებართვები, ჰქონდეს ფიტო-მონტაჟის აღების ნებართვა, ასევე აიღოს ნებართვა აბრების და რეკლამების განთავსებაზე, გააგრძელოს ვადები, წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი, მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტს, გადაიხადოს მოსაკრებელი და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, რაც საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილებების შესრულებასთან. მინდობილი პირი უფლებამოსილია წარადგინოს/მიიღოს/ხელი მოაწეროს მიმნდობის ნაცვლად ნებისმიერ დოკუმენტს, ხელშეკრულებას, განცხადებას ზემოთ აღნიშნული დავალებების შესრულების მიზნით.
მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით, მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.
მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარძალოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება სანოტარო არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ნოტარიუსის სანოტარო არქივში თან ერთვის დანართი ერთი დოკუმენტი: **შპს „სინქროტელი“-ს (ს/კ 205159362)** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის მომზადების თარიღია 26.02.2025 წ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

შპს „სინქროტელი“-ს (ს/კ 205159362) დირექტორი

ნიკოლოზ მუხაშვილი _____

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი